

სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ

2022 წლის 22 ივლისს ჩატარებულმა სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ (შემდგომში „საერთო კრება“) მხარი დაუჭირა „ბანკის“ მიერ გამოშვებული კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების (შემდგომში „პრივილეგირებული აქცია“) მფლობელთათვის 2021 წლის დივიდენდის (შემდგომში „დივიდენდი“) გაცემას, რომლის გადახდაც განხორციელდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- „პრივილეგირებულ აქციებზე“ ჯამურად გადასახდელი დივიდენდის ოდენობა შეადგენს 776,115.28 ლარს;
- ერთ ცალ „პრივილეგირებულ“ აქციაზე გადასახდელი „დივიდენდის“ ოდენობა განისაზღვრება 0.17 ლარით (ჩვიდმეტი თეთრი);
- „დივიდენდის“ სააღრიცხვო თარიღად განსაზღვრულია 2022 წლის 08 აგვისტო;
- „დივიდენდის“ გადახდის თარიღად განსაზღვრულია 2022 წლის 23 აგვისტო.

„საერთო კრებაზე“ განხორციელებული ღია კენჭისყრის შედეგად, „საერთო კრების“ დღის წესრიგით განსაზღვრულ თითოეულ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე აქციონერთა 100%-მა.